ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132-6015

ნიანგი

21

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1559)· ნოემბერი, 1979, ფასი 20 კაპ·

ნახ. დ. ერისთავისა

— ნახე, ჩვენმა საწყობის გამგემ ამ ბოლო დროს ხელფასის ალე-
ბა დაიწყო!
— ეტყობა, ძველებურად ვეღარ იპარავს!

ჟანი სიხარულიძე,
„ნიანგის“ სპეკკორესპონდენტი.

ბათუმის აეროპორტის უფროსის კარლო ქრისტეფორეს ძე ჩაჩავას მოღვაწეობა მარტო თვითმფრინავის ბილეთების განანილებით როდი შემოიფარგლება! — მას უამრავი სხვა საქმეც აქვს! ამ საქმეებს კი საქმიანი და თავიანი გაძღოლა სჭირდება. მაგრამ, კარგა ხანია, აეროპორტის უფროსი საკუთარი თავის დაცვით არის დაკავებული. არ გეგონოთ, კარლო ჩაჩავა საფრენ ბილიკებზე ფეხბურთს თამაშობდეს, ანდა კაბინეტში ჭადრაკს უჯდეს! არა, იგი საჩივრების „თერთმეტმეტრიან დარტყმებს“ იგერიებს!.. ზოგიერთ მძიმეწონოსან ძალოსანსაც გაუჭირდება ანვეა ისეთი ბრალდებიანი საჩივრების შეკერისა, ჩაჩავას შესახებ რომ მიიღო ნიანგმა!

ბათუმის აეროპორტში ამ სამიოდე წლის წინათაც რომ ვერ ყოფილა კარგად საქმე, ეს საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პასუხიდანაც ჩანს: „...აეროპორტის კოლექტივის მუშაობისადმი ხელმძღვანელობის შესუსტებისაკენ, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში დაშვებული სერიოზული დარღვევებისა და კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოჩენისათვის ბათუმის აეროპორტის უფროსს ამხ. კ. ქ. ჩაჩავას გამოეცხადა სასტიკი საყვედური საგრიცხვო ბარათში შეტანით“.

...გადის დრო და მოხსნას გადარჩენილი კ. ჩაჩავა ქვას ქვაზე არ ტოვებს: იბრძვის არა იმდენად საქმის გამოსწორებისათვის, არამედ — სასტიკი საყვედურის რაც შეიძლება მალე მოხსნისათვის! 1977 წლის 29 ნოემბერს აეროპორტის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ მოუხსნა კიდეც მას სასტიკი საყვედური, რაც ჯერ დაამტკიცა პარტიის საქალაქო კომიტეტმა, (1978 წლის 15 მარტს), ხოლო შემდეგ — პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა. (1978 წლის 30 ივნისს).

1978 წლის 3 აპრილს, როცა კ. ჩაჩავა მოხსნილი საყვედურის დამტკიცების მოლოდინში იყო, ქ. კიშინიოვში თვითმფრინავ „იაკ-40“-ით მალულად გაიგზავნა 230 კგ. ციტრუსი. უნებართვო ტვირთი მოლდაველთის დედაქალაქში დააკავეს. სწორედ ამის მსგავსი ფაქტებიდან მომდინარეობს ბათუმის აეროპორტში თვითმფრინავების გადატვირთვის შემთხვევები. ამ მაქინაციის „ავტორები“ აღმოჩნდნენ აეროპორტის მუშაკები — გ. მიქელაძე და მ. ბერიძე.

იმავე წლის 14 აპრილს, აეროპორტში დაუდევრობის შედეგად 6 ტონამდე ავიანავთი დაიღვარა და ხანძრის გაჩენის აშკარა საშიშროება შეიქმნა!.. სამი თვის შემდეგ თვითმფრინავების ფრენის უსაფრთხოების დაცვის ნესების დარღვევის ფაქტები გამოვლინდა! კარლო ჩაჩავა ახლა მკაცრად გააფრთხილეს. მერე ის იყო, აეროპორტში შემთხვევით დაიკარგა სარეზერვო სარელეო ელექტროსადგური! ამის თაობაზე ბათუმში ზღვა მელანი და ქაღალდი დაიხარჯა, მაგრამ ელექტროსადგურის ასავალ-დასავალს ვერსად მიაკვლიეს!..

მას შემდეგ არაერთხელ აღელდა შავი ზღვა, შავმა ღრუბლებმაც ბევრჯერ გადაიარეს, გამოიდარა კიდეც, მაგრამ საჭირო დასკვნები არ გაკეთებულა!

აკი მოგახსენეთ, დასკვნისათვის კარლო ჩაჩავას დრო აღარ რჩებოდა! დარღვევა დარღვევას მოსდევდა! ვერა და ვერ დამყარდა წესრიგი ბათუმის აეროპორტში!..

1978 წლის 14 ნოემბერს აეროპორტის უფროსმა ინჟინერმა დ. ი. დიასამიძემ დაუანგარიშებლად გადააბარა მეკუჭნავე მ. პ. ტაკაევას ავიაბილეთების გლანკები (ფორმა კ-50). გადაბარება-გადმობარებაში უხეშად დაარღვიეს არსებული ინსტრუქცია, რამაც გამოინვია 7500 მანეთის ღირებულების 25 ბლანკის დაკარგვა!

...ჩვენ სწორედ ავიაბილეთებზე ვლაპარაკობდით, როდესაც აეროპორტის უფროსის კაბინეტში ორი მამაკაცი შემოვიდა. მათი დაღლილი სახეები ძალაუნებურად იქცევდა ყურადღებას, ისინი მოსკოველები აღმოჩნდნენ. ერთ მათგანს ხელში 48-გვერდიანი საერთო რვეული ეკავა. დავინტერესდით. ჯერ პიესა გვეგონა, მერე — სატელეფონო ცნობარი. მოსკოველებმა მნარე ღიმილით აგვიხსნეს, რვეულში იმ მგზავრთა გვარებია, ბათუმში, წინასწარი გაყიდვის სალაროსთან ბილეთების რიგში რომ ათენ-აღამებენო.

— მეხუთე დღეა, რაც პირველები ვწერივართ ამ სიაში, მაგრამ ასე გვითხრეს, ბილეთები სხვა სიით იყიდებაო! — დასძინეს მათ.

„იქნებ ჩვენ მივაგნოთ საიდუმლო სიას!“ — გავიფიქრეთ და გავეცანით სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრის ბრძანებას, სადაც გარკვეით არის ნათქვამი: **რეზერვში შეიძლება დატოვებულ იქნეს თვითმფრინავის სავარძლების მთელი ოდენობის მხოლოდ 5%.**

ბათუმის აეროპორტში კი პირიქითაა: 95 % ისეთი „ჯავშანია“, ტანკითაც ვერ შეაღწევ, 5% კი „თავისუფალ გაყიდვაშია“, და თუ თავისუფალ ჭიდაობაში ოსტატობის კანდიდატი მაინც არა ხარ, ბილეთს ვერ აიღებ!

ვის ეხება პერსონალურად ბილეთების განანილება? ვინ უნდა გაუნიოს ამ საქმეს ხელმძღვანელობა? — აეროპორტის უფროსმა! ამ საკითხზეც არსებობს სპეციალური ბრძანება.

აეროპორტს რომ ძალზე ბევრი მგზავრი ეტანება, ეს დღეს არავის უკვირს — სწრაფი და მოხერხებული მგზავრობა ვის არ აძლევს ხელს?!

— ჰოდა, თუ მოხერხებული მგზავრობა გსურს, თვითონაც უნდა იყო მოხერხებულიო! — უთქვამს ბათუმის აეროპორტის მოლარეს, ლუდმილა რადილჩუკს და ბილეთების მარცხენა ხელით გაყიდვაში განაფუა. — „რა ვქნა, ცაცია ვარ და მეპატიებაო!

ლუდმილა-მოლარეს ციფრების დამრგვალება

ბავშვობიდანვე ჰყვარებია. ამიტომაც ბათუმ-მოსკოვის თვითმფრინავის მგზავრს. ხ. აბესლამიძეს, 36 მანეთისა და 50 კაპიკის ნაცვლად, 50 მანეთი გადაახდევინა! აბა, მოსკოვში მიმავალ კაცს 13 მანეთისა და 50 კაპიკის დაბრუნებაში დროს ხომ არ დააკარგვინებდა?!

ბათუმის აეროპორტში ილუზიონისტებიც არიან: გინდათ თუ არ გინდათ, უცებ თქვენს ბარგს სხვას „შეატყუებენ“. თქვენ კი ნუ გეშინიათ, ხელცარიელს არ გაგიშვებენ, სხვის ბარგს გაგატანენ! ამ საქმეში საქვეყნოდ გაითქვა სახელი აეროპორტის ცვლის უფროსმა ოლია გურგენიძემ: მან ბათუმიდან ლენინგრადში ჩაფრენილ მგზავრებს, უკვე მოსკოვში ჩასული მგზავრების ბარგი გაატანა, მოსკოველებს კი — ლენინგრადელებისა! ახლა ოლია თურმე თანაავტორებთან ხ. დიასამიძესთან და ვ. აბაშიძესთან ერთად, ახალ პროექტს ამუშავებს, რომლის მიხედვით მგზავრები, მათი სურვილების საწინააღმდეგოდ, ბათუმიდან სხვადა სხვა მიმართულებით გაფრიხდებიან!..

მოყვანილმა ფაქტებმა რომ შორს არ გაგვაფრინოს, ისევ ბათუმის აეროპორტში დავრჩეთ და ასაფრენად გამზადებულ თვითმფრინავს გავხედოთ! ისინი მკაცრად გვაგრძნობინებენ შემდეგს: **აუცილებელია, დაუყოვნებლივ დაეჭრას ფრთები აქ გამეფებულ მრავალწახნაგოვან უწესრიგობას, დაუდევრობასა და თვითნებობას!**



ბაგითხვიდა და ნახვამდე ნაფერვალი

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების

მინისტრის მოადგილეს **ა. ა. ჭაგუკიანს**

დიდად პატივცემულო ამირან!

ჩემს სამუშაო მაგიდაზე დევს თქვენი განკარგულება თბილისის ბინების შეკეთებისა და მშენებლობის სამმართველოს უფროსის მიმართ. განკარგულება ავალებს უფროსს — განიხილოს და გადაწყვიტოს თანახმად არსებული წესისა და თანაც უპასუხოს განმცხადებელს.

ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რას ნიშნავს ეს „არსებული წესი“! თუ არსებული წესით განმცხადებელი მასხარად უნდა აიგდონ, ვერაფერი წესი გქონიათ, ჩემო ამირან! თუ არადა, რას ნიშნავს თქვენი რეზოლუცია? უნდა დააკმაყოფილონ თუ არა განმცხადებელი? როგორი წესია თქვენდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებაში?

უფრო ზუსტად გაგახსენებთ: ჩემმა ერთმა ძველმა ნაცნობმა განცხადებით მოგმართათ და დახმარება გთხოვათ, გაგეკეთებინათ მისი ბინის რემონტი **თქვენთან არსებული ფასების მიხედვით.** ზუსტად ისეთი თხოვნაა, მაღაზიის გამგეს რომ შეეხვეწოთ: თქვენთან რომ კვერცხი ცამეტი კაპიკი ღირს, თუ შეიძლება, ის კვერცხი ცამეტ კაპიკად მომყიდეთო! განცხადების საფუძველზე თქვენ განკარგულება გაეცით, არსებული ფასის მაგიერ, არსებული წესი გამოეყენებინათ და თქვენი რეზოლუციის ადრესატებმა მასხარად აიგდეს განმცხადებელი. უბრალოდ, კაციც კი არ გაგზავნეს იმის გასაგებად, თუ რა იყო ბინაში გასარემონტებელი!

თქვენი უწყების მუშაკებს არც პარკეტი აღმოაჩინდათ, არც — კარი (სამმაგი ფასის გარეშე!) არც ხელოსანი... და არც — ზრდილობა, რომ ადამიანურად ეთქვათ უარი „თანახმად არსებული წესისა“!

გეფიცებით, მე თვითონ არ მესმის, რას ნიშნავს ეს „არსებული წესი“. კაცის თავიდან მოშორებას?

ვიცი, შეცბუნდებით და იტყვით: როგორ გეკადრებათ, ჩემი განკარგულების თანახმად განმცხადებლის ბინა უნდა შერემონტებულიყოო!

კეთილი და პატიოსანი! მაშინ რაღას ნიშნავს თქვენი ხელქვეითების საქციელი? თქვენდამი დაუმორჩილებლობას? განა შეიძლება, სამმართველოს უფროსი მინისტრის მოადგილეს არ ემორჩილებოდეს?!

ამას თქვენი ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით ვამბობ, თორემ ჩემმა ძველმა ნაცნობმა ტყავი გაიძრო, ბინა თქვენი დახმარების გარეშე გაირემონტა: დღეში ასი მანეთი ხელოსანი დაუჯდა, თხუთმეტი მანეთი — კვადრატული მეტრი უბრალო პარკეტი და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, **არსებული წესის მიხედვით** ყველაფერი გააკეთა.

თქვენი დაწესებულების სამახსოვროდ კი დაგვრჩა მხოლოდ სუფთა, თეთრ ქაღალდზე დაწერილი გაუგებარი პასუხი, გამოგზავნილი **წერილის ჯგუფის გამგის (!) ვ. შანშიაშვილის** მიერ. (ტექსტი ჩემთან ინახება!).

კარგად ბრძანდებოდეთ!

თქვენი ნიანგი

ხალხურ კილოზე

მომხვეჭელს — ფული
ჩეჩქადა,
თავი კი — თუნდა ხისაო,
უნარი — ფულის მოხვეჭის
და ნიჭი — მისი თვლისაო.
ბინა — სამსართულიანი,
გარაჟი — ბეტონისაო,
ორი ახალი მანქანა —
მისი და მეუღლისაო.
სახლში — ძვირფასი
რემონტი,
ავეჯი — წითელ ხისაო,
ნარ-ნარი სერვიზი —
ევროპა-აზიისაო.
მეუღლეს — თვალმარგალიტი,
ბეჭდები პლატინისაო,
ტანსაცმელ-ფეხსაცმელები —
უცხოურ-იმპორტისაო.
მომხვეჭელს — ფული
ყელამდე
და ნიჭი — საქმოსნისაო,
გული — ქვისა და თავი —
ხის,
მადა, სიხარბე — მგლისაო...
ბოლოს კი — შანსი ჩაკეტილ
საკანში მოხვედრისაო!..

ნიკოლოზ იოსებიძე

ნახ. ნ. ბალაბანიანი

კალენდარ-თავსატეხი

სიტყვის შემოკლება ოდითგანვე მიღებულია. ასე მაგალითად: **რიონჰესი** — **რიონის ჰიდროელექტროსადგურს** ნიშნავს, ხოლო **ე. ი.** — **ესე იგის.**

აბა, თუ მიხვდებით, რას ნიშნავს **სმ**? ვერ მიხვდით? იქნებ **ხთ** მაინც ამოხსნათ? ვერც **ხთ**-ს შიფრავთ? რაკი ეგრეა, თქვენ, ალბათ, ვერც **პრ**-ს განმიმარტავთ და ისედაც შეწუხებულს, სულ დამაღონებთ.

იყიდეთ ახლახან გამოშვებული **ქართული ფოტოკალენდარი 1980 წლისა,** გადაფურცლეთ და თქვენს წინაშე სიტყვათა შემოკლების არნახული შესაძლებლობანი გადაიშლება.

თურმე **ორ ორშაბათს** ნიშნავს. **სმ** — **სამშაბათს, ოთ**—**ოთხშაბათს, ხთ** — **ხუთშაბათს, პრ** — **პარასკევს** და **შთ** (ახლა თქვენც მიხვდებით) — **შაბათს.**

ამ მეთოდს თუ გამოვიყენებთ, ნებისმიერ სიტყვას შევამცირებთ და ორ (ან ორზე ნაკლებ) ასოზე დავიყვანთ. მაგალითად, **ხრ** — **ხორცი** იქნება, ხოლო **კმ** — **კამეჩი.**

სიტყვებს, საერთოდ ადგილის ეკონომიის მიზნით ამოკლებენ: **ამ კალენდარს კი სიგანე 30 სანტიმეტრი აქვს და სიმაღლე — 45.**

თუ ჩვენი ტვინის უჯრედების გავარჯიშებაზე (ცოტა ხომ უნდა გაისარჯო!) ზრუნავდნენ ამ კალენდრის შემდგენლები, — ეს სხვა საკითხია. მადლობის მეტი რა გვეთქმის!

კროსვორდა კალენდარიშვილი

ᲒᲘᲜᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘ

მმ. გიზო გრიგოლის ძე ᲯᲐᲠᲐᲜᲫᲔ, საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტი, მცხ. ᲩᲘᲢᲐᲫᲔᲡ ᲥᲣᲩᲐ № 11-ში (ᲪᲔᲜᲢᲠᲘ), ეუცვლი იზოლირებულ ტელეფონიან, მაღალქვირიან (3 მ. და 90 სმ) ბინას ამავ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ № 4-ში (ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝ), იზოლირებულ ტელეფონიან, მაღალ სტანდარტულქვირიან ბინაში.

ამ ოპერაციის შედეგად, ვფიქრობ, ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრება ᲩᲘᲢᲐᲫᲔᲡᲐ და მისი ახლომდებარე ᲥᲣᲩᲘᲡ მცხოვრებთა წყლით უზრუნველყოფის პრობლემა.

ნახ. Დ. ᲔᲠᲘᲜᲗᲐᲕᲘᲫᲔ

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ: რᲐᲛᲔ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲠᲘᲡᲐ, ᲩᲘᲢᲘᲡ, ᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?

ᲒᲠᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ: ᲜᲐᲜᲐᲗᲘᲡ ᲠᲐᲚᲐᲠᲔᲚᲐᲓ, ᲛᲐᲜᲘ!

ᲗᲐᲚᲐᲖᲘ ᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲜᲘᲜᲐᲜᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ.

ᲠᲘᲗᲘ ᲡᲘᲛᲦᲘᲗ

ᲗᲐᲠᲐᲨᲘᲡ მეფრინველეობის ფაბრიკაში გაჩნდა თუ არა დაავადება „ნიუკასლი“, 34.000-მა ᲗᲣᲛᲦᲘᲗ წყნეოლამ ჩვენი ᲒᲘᲠᲘ წაიღო. არც სწყალ მსხვილფეხა რქოსნებს დასც�ᲛᲝᲜᲐ კარგი ᲠᲘᲒᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲓᲐᲠᲘᲜᲐ ᲒᲘᲠᲘ „ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲜᲘᲡᲐᲛᲔ“ მარტო აგვისტოში იფიცებთნი ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ (დაკლ. 11 დეკემბერი (ᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲘᲠᲘᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ) ᲠᲐᲝᲜᲘᲡ მოავარ ᲨᲝᲠᲝᲙᲘᲜᲘᲡ გიორგიᲡᲐᲗᲕᲘᲡ).

რადგან პირტეტეს ᲠᲘᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲘ არ შეუძლია და კაციᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲘ გიოგᲔᲑᲚᲘ ᲐᲓ ᲡᲣᲚᲘᲗᲘ ᲔᲠᲣᲗᲘᲡ-ᲛᲐᲜᲐᲡᲔᲚᲘ, ᲠᲝᲝᲜᲘᲡ მთავარმა ᲘᲞᲝᲚᲘᲢᲘᲛᲘᲐ **რᲐᲛᲔ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ** და გიᲛᲘᲡ ᲓᲘᲪᲘᲒᲔᲚᲘᲡ გამოსაზიᲠᲔᲑᲚᲐᲓ სამეᲨᲝ სამეᲠᲔᲜᲝᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲚᲝ საწარმოს ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲯᲝᲠᲯ **ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲐᲛ** ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲣᲪᲘᲜᲝᲕᲔᲡ ᲗᲐᲜᲯᲘᲡ, ᲓᲐᲓᲒᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. გადაᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲮᲪ ᲡᲐᲓᲐᲐ ᲫᲔᲠᲚᲘᲡ თავი დამᲐᲠᲬᲘᲚᲘᲐ!

მსᲯᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲛᲘᲡᲐᲜ სასეᲘᲠᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲛᲝᲛᲐᲜᲓᲘᲠᲘᲡ საწარმო ᲩᲘᲚᲘᲡ ᲠᲘᲚᲘ ᲠᲘᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲑᲚᲘᲡ კომპლექსი — ᲜᲐᲮᲐᲠᲐᲓ ᲒᲐᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ — ᲓᲐᲓᲒᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ, ᲝᲠᲛᲘᲡ ᲮᲐᲜ ᲐᲛᲪᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲓᲐᲠᲯᲘᲡ! — ᲮᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲪᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲓᲐᲠᲯᲘᲡ!

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ **ᲯᲐᲙᲝ ᲭᲘᲐᲫᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ** ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ — ᲮᲐᲜᲯᲐᲠᲘ ᲒᲐᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ — ᲮᲐᲜᲯᲐᲠᲘ ᲒᲐᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲓᲒᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ. ᲮᲐᲜᲯᲐᲠᲘ ᲒᲐᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲓᲒᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ. ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ.

ᲠᲐᲓᲒᲐᲜ პირტეტეს ᲠᲘᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲨᲣᲜᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲪᲘᲜᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲛᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲓᲒᲐᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ. ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ.

ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲠᲘᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲨᲣᲜᲔᲚᲘᲐ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲛᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘᲐ. ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ.

ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ.



ᲜᲐᲮ. Ჯ. ᲚᲝᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

— ᲩᲙᲐᲚᲔ ᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲙᲐᲢᲘᲚᲘᲐᲜᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲒᲘᲐᲜᲘ ᲩᲘᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ!

ᲛᲐᲙᲘᲠᲐ ᲒᲐᲪᲔᲚᲘᲡᲘᲐᲜᲘ,
ᲔᲚᲔᲒᲣᲠᲘ ᲛᲘᲠᲐᲙᲘᲫᲔᲡᲘᲐᲜᲘ,
„ᲜᲘᲜᲐᲜᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲛᲝᲜᲐᲡ ᲠᲘᲩᲐᲜᲯᲠᲝᲒᲐᲜᲘ

ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲐᲛᲐᲣᲤᲐᲚᲘ ᲪᲘᲚᲘᲡ დაᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲚᲘᲡᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ საᲗᲥᲝᲛᲝ ᲔᲠᲗᲘᲗᲣᲚᲘᲡ ᲐᲗᲪᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲛᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲓᲠᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲐᲛᲐᲣᲤᲐᲚᲘ ᲪᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲛᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲓᲠᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲐᲛᲝᲜᲐᲡ ᲠᲘᲩᲐᲜᲯᲠᲝᲒᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲪᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲐᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘᲐ.

ნახ. ჯ. ლოლუასი

— კაცო, ადგილი როგორ არა მაქვს, მაგრამ ხომ ხედავ, ქრთამზე რა ამბავია?!

საშიში დაავადებები

ჭორი

ამ სენით შეპყრობილს ჭორიკანას უწოდებენ. აქვს მახვილი სმენა, შხამიანი ენა, ბოროტი სული, თეთრი პირი, შავი გული. ლაპარაკობს ჩურჩულით, პირზე ხელმიფარებული, რადგან ყოველთვის ჰგონია, რომ ვიღაც ფარულად უსმენს. ზოგჯერ სისინებს კიდეც.

თავს ყველას კეთილისმყოფელად აჩვენებს და ყველას ძირს უთხრის. ცდილობს, შხამი დათესოს და ნდობა აღგავოს ადამიანთა შორის. აქვს უნარი, ყოველი ინფორმაცია თავის სასარგებლოდ გადაამუშაოს — ე. ი. სიცრუე სიმართლედ გაასაღოს და სიმართლე — სიცრუედ. იცის, რომ დეზინფორმაციას ინფექციური ხასიათი აქვს, ამიტომ პირადად ერთს, ან რამდენიმეს გაანდობს ხოლმე.

უყვარს პატიოსანი ხალხის ლანძღვა, რადგან იცის, რომ უპატიოსნო ისედაც გალანძღულია. ხარობს, როცა ავი სიტყვა მიზანს აღწევს. ამაში პოულობს არსებობის აზრს.

განკურნების საშუალებაა იძულებითი იზოლაცია.

ა. თ.

ნახ. მ. აბაშიძისა



— რა ესროლეს?
— ყანდი!

მე ვარ და ჩემი აბანო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარელელი კერძომესაკუთრის უშანგი შავდათუაშვილის მონოლოგი

ქარელში ქარს რა გამოლევს, მაგრამ მე რომ ქარმა შამამკრა და აქ გადმომაგდო, ის სხვა იყო, კულტურულად რომ რევმატიზმს ეძახიან, ის გახლდათ. აქ ადრე, ჩემს საბედნიეროდ, გეოლოგებმა დაარტყეს ბურღი, ნავთის მაგიერ ცხელი წყლის შადრევანი რომ ამოსკდა, დამდუღრულებივით გაეცალნენ და აქაურობა მე დამიტოვეს. როგორც ღვინის ქარხნის ყოფილ ექსპედიტორს, ექსპედიციის გაგრძელება არ გამჭირვებია. ჯერ ჩემს თავზე გამოვცადე ცხელი წყლის სამკურნალო თვისებაი, მერე მივდექი და კულორტის შენება დავიწყე. მოვზიდე ცემენტი, ბლოკი, ავიყვანე კედლები და ავაყოლე ხარაჩოები. მერე ქარელის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შევუჩნდი, „საქკოლმშენიდანა“ ერთი დიდი ცისტერნა ჰქონდა ნათხოვნი, იმაზე დავურტყიით „ატკაზი“ პატრონსა, დაგვეკარგაო და 400 მანეთიც აგვაშვლიპეს, იქით ხილის წვენების ქარხნის დირექცია მოვთაფლეთ და იმათაც ორი დიდი ცისტერნა, ვითომდა უვარგისობის გამო, ჩამოწერეს და ჯართად ჩააბარეს, სინამდვილეში კოლექტივიდან ტრაქტორ-გუთნების ძველი ნაწილები მოვჩინჩხვრეთ და ჯართად ის ჩავაბარეთ, ქარხნის ბუღალტერიას კიდევა ქვითარი მივართვით. ცისტერნები რომ ადგილზე დავაყენე, ახლა ცხინვალში გავიქეცი და აბაზანები ჩამოვიტანეი, მერე ჩემ ძმაკაც ვალიკოს გამოვუძახე, „კოლხოზსტროიდანა“. თან მილებიც მოვიტანე და შევუდექით საქმესა. წყალი ისეთი ძალით მოდიოდა, რომა თავისით ავსებდა მაღლა მდგარ ცისტერნებსა, ერთში ცხელი იყო, მეორეში ცივდებოდა, მესამე კიდევ რეზერვადა მქონდა.

ჩვენი რაიონის სანეპიდსადგურის მთავარ ექიმს ქაღალდი გამოვართვი და თბილისში ვაფრინე წყლის სინჯთან ერთადა, იქიდან გვიპასუხეს, რომაო მაგ წყალსა აგრერიგად ნუ ეხუმრებითო, აბაზანის ტემპერატურა, შიგ ჩაწოლის დრო ზუსტად უნდა დაიცკათო, თანაც კიდევაო ავადმყოფების მიღება ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ხდებოდესო. ეს მითითებაც შევასრულე, ავდექი და სახალხო უნივერსიტეტში ერთწლიან დოხტურობის კურსებზე ჩავრიცხე წარმოებიდან მოუწყვეტლადა, ან კი როგორ მოვწყდებოდი, ჩემი წარმოება გამართულად მუშაობდა, ავტობუსიც დავნიშნე ქარელიდანა. 30 კაპიკად მიზიდავდა ხალხსა. ხალხი კი მოდიოდა, მაგრამა მეტწილად ჩვენებურები იყვნენ, ამან მიმახვედრა რომა, რეკლამა იყო საჭირო. ჯერ ექიმები დავიხმარე და წერილი გამოვაქვეყნეი რაიონულ გაზეთში. მერე კიდევა — განცხადებაი, ხალხი მოვიპატიჟე. მერე ნნევის გასასინჯი აპარატიც ვიყიდე და გულისაცა, თეთრი ხალათი ჩავიცვი, თეთრი ჩაჩი დავიხურე და ნამდვილ დოხტურს დავემგვანეი.

შინაურებმა მირჩიეს, ასე ყოფნა სარისკოა, ეგ შენი კერძო კულორტი ვინმეს მიაჩემეო. ავდექი, შევიტანე განცხადებაი და რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით ხვედურეთის კოლმეურნეობას შევასყიდე 5361 მანეთადა. სამაგიეროდ, გეგმებიც მომცა კოლმეურნეობის გამგეობამ და შტატებიც დამიმტკიცა. მე აბანოს გამგე-ექიმი ვარ და 70 მანეთი ხელფასი მაქ, ეთერაი (გვარი არ ვიცი) დამლაგებლადა მყავს, შავერდა კიდევა—ყარაულადა, თითოს სამი თუმანი აქვს დანიშნული ჯამაგირად, მაგრამ რაც ჩვენი დაწესებულება არსებობს, ხელფასი არც ერთს არ მიგვიღია. შინაურულადა ვრიგდებით. ბოლო ხანებში ეთერას ველარ მოვურიგდი, დაადო თავი და წავიდა. ან კი რა საჭირო იყო, ცხელწყლიან აბაზანას რაღა გარეცხვა უნდა? ვინც ძალიან პეწენიკაა, თვითონ გარეცხოს. თუმცა დამწუხრებული ჯერ არავინ მინახავს. მოდიან და მოაქვთ ტკიცინა მანეთიანები, კოლექტივის წევრებზე ათი შაურია დაწესებული და ზოგჯერ ისინი მიკოჭლებენ თანხასა. სხვა ყველაფერი წესრიგშია. ზოგჯერ ქვითარსაც ვწერ, მაგრამ იმდენს არა, რომ გეგმა შევასრულო. დანარჩენს ვაგროვებ, ეს ჩემი კულორტი უნდა შემოვლობო და აბრაც გავუკეთო. ჰო, მართლა! კაბინეტიც მაქ, შიგ კუშეტკა მიდგია და ლოგინიც მიგია, თუ ვინმე ცუდად გამიხდა, ნემსის გაკეთებაც შემიძლიან. შიგადაშიგ ჩემ თავსაც ვმკურნალობ. ქარები კი ჩამიდგა, აღარ მაწუხებს, მაგრამ ის მიკვირს, ამ ჩემ საქმეში რომ სულ ზურგქარი მიმაქროლებს წინ-წინა, ვისი წყალობაა.

ზოგჯერ მეუბნებიან, უშანგი შავდათუაშვილო, მაგდენი ბანაობითა სულ გათეთრდებიო! გარედან მართლა გავთეთრდი (თეთრი ხალათითა და ქუდითა), შიგნითაც გავთეთრდებოდი, მაგრამ ეს ხელის ჭუჭყი ველარ მოვიშორე.

ნიანგის ფინაწარი: 1978 წელს აბანოს შენობის საექსპლოატაციოდ ვარგისიანობა შეამოწმა რესპუბლიკის სანეპიდსადგურმა და, მისი დასკვნის საფუძვლებზე აბანო დახურა ქარელის სანეპიდსადგურმა, მაგრამ გაურკვეველია, ვიღამ დართო მისი ექსპლოატაციის ნება მის დღევანდელ მფლობელს?

სამკურნალო აბანო ამჟამად ყოველგვარი კონტროლის, სანიტარული წესებისა და ნორმების დაცვის გარეშე მუშაობს. სხვაზე უკეთვის მოეხსენება, თუ არა ქარელელებს, რომ ამ ჯადოსნურ სამკურნალო წყალს პატრონიც შესაფერისი სჭირდება!

744
5.XII 79

საცალფრთხილო ქრონიკები

კარგ მოსავალს კარგი სპეკულანტიც მოუხდებაო, გაიფიქრა **ზუგდიდის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ავტომანქანის მძღოლმა გ. კ. გოძილაიძემ** და ამა წლის 9 ოქტომბერს **ავტომანქანა გაზ-53 78-01-გავ** დატვირთა 500 კგ მწარე და მწვანე მანდარინით, ეგონა, რესპუბლიკის გარეთ დატკბება და გაყვითლდებაო, მაგრამ მანდარინი ჯერ კიდევ გალში გამწარდა.

მოლდავეთის რესპუბლიკის ავტომანქანა გაზ-504 39-29-მაშჩ 11 ოქტომბერს გაგრამდე ჩავიდა და თან 4280 კგ მანდარინი ჩაიტანა. აღნიშნული ავტომანქანის მძღოლი **ვ. მ. ბერეგოვოი** ცდილობდა ქართული მანდარინით მოლდაველებს გამასპინძლებოდა, მაგრამ უთხრეს ნაადრევიაო.

ამავე დღეს **უკრაინის რესპუბლიკის ავტომანქანა გაზ-53, 12-92 უკო, მძღოლი კ. ე. მიხაილოვიჩი** დაკავეს. მას 910 კგ მანდარინი და ბროწეული აღმოაჩნდა.

25 ოქტომბერს **თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთის** საგუშაგოსთან შეაჩერეს **ავტომანქანა მ-21, 48-74-გაზ, მფლობელი ზ. ს. ვასაძე და ავტომანქანა ვაზ-2101, 51-98 გავ, მფლობელი შ. ა. გოგიტაძე.** ერთს 190 კგ და მეორეს 120 კგ მანდარინი მიჰქონდათ „გზაში პირის გასასველებლად".

მანდარინის გატან-გამოტანის ოსტატებს მეციტრუსეებმა ასე შეუთვალეს. აცალეთ მანდარინს დამწიფება, გაგზავნ-გამოგზავნა თქვენზე უკეთ ჩვენ ვიცითო!

ნიანგი

სამშენებლო როგაიათი

ლერი ჩანტლაძე

(სრულდება დუდუკის თანხლებით)



ბინის მიღების, სიხარულით ცამდე ასულო,
შენ, — მოედნებზე ხელოსანთა ძებნით გართულო!
ჰე, ჩემო ქუჩავ, ჩემო სახლო, ჩემო სართულო,
რადიატორო — გასათბობად ჯერ არჩართულო!

ფიფქებად რომ დაბლა მოდის, — ეს ხომ ჭერია!
პარკეტია, — მე რომ ხელში დამიჭერია!
კედლებია, — გამოიცან, სად რა ფერია!
კარი აღარ იკეტება? — არაფერია!

ფანჯარა თუ არ იღება, რა ბედენაა,
ცხელი წყალის ონკანში თუ ცივის დენაა,
კარ-ფანჯრიდან საკეტ-ლურსმნის უხვად ცვენაა —
წუნდებული პროდუქციის გამოფენაა!

გასაღები მოზრდილია, ხვრელი წვრილია!
შუშაბანდში მინები სულ ჩალეწილია!
აბა, ეს რა ცემენტია? — მჭადის ფქვილია!
მოაჯირიც მოყანყალე ხიბრძნის კბილია!

ახალმოსახლევ, არას გარგებს უიმედობა!
ზოგი მშენებლის სინდის-ნამუსს ვინღა ენდობა?!
აშენე თვითონ, არემონტე, მათ კი შეუნდე,
რადგან ვინც სცოდა, სწორედ იმას უნდა შენდობა!

სრულიად შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს ისეთი მდგომარეობა, რომ ახალშერქვეშ შესვლა ადამიანებისათვის. ამავე დროს ბინების რემონტის დაწყებასაც ნიშნავს.

— მომილოცავს ახალი ბინის მიღებას!

სახსრები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები კვლავ იქსაქსება მრავალ მშენებლობაზე, რასაც შედეგად მოსდევს მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ვადების გაჭიანურება, დაუმთავრებელი მშენებლობების მოცულობის ზრდა.

— რატომაა მიტოვებული, მოხსნეს ამის პატრონი?!
— არა, პატრონმა მოხსნა რკინაც, აგურიცა და ცემენტიც!

განვლილ ათწლეულში დაგეგმილი იყო სულ ხუთი ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელთაგან დადგენილ ვადაში ერთადერთი სახლი აშენდა. დანარჩენი სახლების მშენებლობას 7-8 წელიწადი მოუნდა! უფრო მეტიც, ერთი მათგანი, რომელიც სრიალა ყალიბით შენდებოდა, პირველი სართულის დონეზე დააკონსერვეს.

ნახ. ბ. ლოგვინისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

76137

ლასლო ტოგი

— თქვენ დამიძახეთ, ბატონო დირექტორო?

— დიახ, პირიკე! დაბრძანდით, ერთ საკითხზე მინდა მოგესაუბროთ!

— გისმენთ, ბატონო დირექტორო!

— იცით, პირიკე, ამ ერთ თვეს ჩვენ მთელი რიგი ცდები ჩავატარეთ დაწესებულებაში, სპეციალური ხელსაწყოებისა და აპარატების დახმარებით?!

— დიახ, ვიცი ამის შესახებ.

— გამოთვლების შედეგად დავადგინეთ, რომ თანამშრომლები სამუშაო დროის უმეტეს ნაწილს პირად საქმეებზე ხარჯავენ და სამუშაო დიდად არ აინტერესებთ.

— რას ბრძანებთ?! ეს შეუძლებელია!

— სამწუხაროდ, სრული სიმართლე გახლავთ! აი, ხელთა მაქვს ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ატარებთ თქვენ დროს სამუშაო საათებში: რვა საათ სამუშაო დროიდან 7 პროცენტი დაგვიანებებზე მიდის, 11 პროცენტს ტელეფონით საუბარზე, 16 პროცენტი — უავის დალევაზე, 20 პროცენტს თანამშრომლებთან მუსაიფს ანდომებთ, 18 პროცენტს — ტუალეტს, 4 პროცენტს — ჟურნალ-გაზეთების კითხვას, რაც მთლიანად 76 პროცენტს შეადგენს.

— აქ რაღაც შეცდომაა! თქვენ მე საგონებელში ჩამაგდეთ, ბატონო დირექტორო!

— როგორ?

— ვერ გამიხსენებია, რას ვაკეთებ დარჩენილ დროში, რომელიც თქვენი გამოთვლის მიხედვით მთელი სამუშაო დროის 24 პროცენტს შეადგენს?!

უნგრულიდან თარგმნა

ლილი მაისურაძემ

ნახ. ედგარ ვალტერისა
(ფსტონეთი „პიკერი".)

მთავარი რედაქტორის მოადგილე ზაურ ბოლქვაძე. სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომაძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ბელიძე. ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 8/X-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XI-79 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის შეკვ. 2539. უე 06883. ტირ. 160.100. Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატ. ოლეგების ავტორები: გ. ალაშიძე, ე. ვალტერი, ნ. ოისებიძე, ლ. ლოლუა, ნ. მალაზონია, ა. ადგილ.